ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2007241

ნომერი: AR1320662

თარიღი : 22.06.2015

გაცემის თარიღი : 14.07.2015

გაცნობის თარიღი : 16.07.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, # 12, არასაცხოვრებელი ფართი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით კაკაბაძე პ/ნ 65002012448
- თბილისი მცხეთის II შეს. N 4

ორგანიზაცია:

- შპს ფუდკო კოდი: 405069125

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობა

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის„„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანებისრეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „დედაქალაქის

პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის“ თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი AR1320662 (22.06.2015 წ) განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სულხან ცინცაძეს ქ,. #12–ში არსებული საზკვების ობიექტის წინ წარმოდგენილი ესკიზის მიხედვით ღია საზაფხულო კაფეს მოწყობის მიზნით წერილობით ნებართვის გაცემას, გაცნობებთ: ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ’’ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მუხლი #66-ის პუნქტი #6-ის და მუხლი #17-ის პუნქტი #2-ის (საზოგადოებრივ ან/და მის მომიჯნავე ტერიტორიაზე განთავსებული დროებითი შენობისა და ნაგებობის გამოყენების მაქსიმალური ვადაა 1 წელი და შესაძლებელია ყოველი ვადის ამოწურვის შემდეგ ვადის მაქსიმუმ 1 წლით გაგრძელება. ვადის ამოწურვის შემდეგ, როდესაც არ ხდება ვადის გაგრძელება, აუცილებელია დროებითი შენობისა და ნაგებობის დემონტაჟი (დაშლა/დანგრევა), ტერიტორიიდან გატანა, აგრეთვე, ამ ტერიტორიის კეთილმოწყობა ან/და პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა), შესაბამისად გეძლევათ ნებართვა ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სულხან ცინცაძეს ქ,. #12–ში არსებული საზკვების ობიექტის წინ თქვენ მიერ წარმოდგენილი ესკიზის და ფოტო მონტაჟის მიხედვით განათავსოთ მაგიდები და სკამები.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.